

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2021 წლის იანვრიდან დღემდე პერიოდს.

კომისიის შემადგენლობაში არის 9 დეპუტატი:

1. ოთარ ლურსმანაშვილი
2. ავთანდილ კვინიკაძე
3. დავით კიკნაძე
4. უშანგი ბერაძე
5. პავლე კიკალიშვილი
6. მარინე ხვედელიძე
7. შალვა ლურსმანაშვილი
8. ქეთევან ზუმბაძე
9. ბაქარ ბარვბაქაძე

კომისია თავისი უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმართვლობის კოდექსის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულების“ შესაბამისად.

კომისია სხდომებზე განიხილავდა სამოქმედო გეგმის და საკრებულოს მუშაობის პროცესში წარმოშობილ დამატებით საკითხებს. შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფდა საკრებულოში პროცედურული ნორმების დაცვას. ასევე პასუხისმგებას იღებდა იღებს საკრებულოს სამართებრივი აქტების კანონშესაბამისობაზე.

კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 18 კომისიის სხდომა აქედან 12 მორიგი და 6 კი რიგგარეშე სხდომები. მოახდინა 2020-2021 წლებში ჩატარებული საკრებულოს სხდომების კენჭისყრის შედეგების შეჯამება.

კომისიას ხშირ შემთხვევებში საკითხების განხილვა უწევდა რიგგარეშე სხდომებზე და მცირე დროში, რაც გამოწვეული იყო საკრებულოს სხდომების ინტენსივობით და აქტიური მუშაობით.

კომისია აქტიურად იყო ჩართული 2021წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვაში და დამტკიცებაში, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან ერთად შევიმუშავეთ საბიუჯეტო შენიშვნები და გათვალისწინების მიზნით მივმართეთ მერიას.

კომისიამ განიხილა საკითხი რომელიც ეხებოდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორეშაში მდებარე სახელწოდების არმქონე ქუჩისთვის სახელის მინიჭებას. კონკრეტულად კი სოფელ ღორეშაში ცენტრალურ ქუჩას რომელზეც მდებარეობს საზოგადოებრივი ცენტრი, საჯარო სკოლა და სხვა მნიშვნელოვანი ობექტები მიენიჭა ამავე სოფლის მკვიდრის გელა კაპანაძის სახელი, გელა კაპანაძე არის აფხაზეთის ომის მონაწილე, გმირი და ვახტანგ გორგასლის ორდენოსანი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №16 დადგენილებაში

„ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე, რის შედეგადაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინდივიდუალური სახლის მშენებლობის მოსაკრებელი ერთ კვადრატულ მეტრზე განისაზღვა 1 ლარით ხოლო კომერციული 2 ლარით.

კომისიამ განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში ახალი სამსახურის შექმნის საკითხი. მოგეხსენებათ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებობდა შესყიდვებისა და მატერიალურ

ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება, სამსახურის შექმნის ინიცირებას წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიამ რასზედაც კომისიამ გასცა დადებითი დასკვნა და წარუდგინა საკრებულოს.

კომისიამ გასცა დადებითი დასკვნა მუნიციპალიტეტის მერიაში ახალი განყოფილების შექმნის საკითხზე, მერიაში შექიმნა ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება.

მოგეხსენებთ 2021 წელს ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, კომისიამ განიხილა საკითხი, რომელიც შეეხებოდა სოფლებში მოსახლებასთან საარჩევნო შეხვედრის ადგილების გამოყოფას და სააგიტაციო მასალები (პლაკატების) განთავსების ადგილის გამოყოფას.

კომისიამ განიხილა საკითხი რომელიც შეეხებოდა ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ შექმნის საკითხს და გასცა დადებითი დასკვნა.

კომისიამ განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის, შიდა აუდიტისა და მონიტორინის სამსახურის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის, შესყიდვების სამსახურის ანგარიშები და საკრებულოს წარუდგინა დასკვნები და მოსაზრებები.

აქვე მინდა ავღნიშნო რომ დეპუტატების მხრიდან ადგილი არ ჰქონია ხშირ გაცდენებს და ქვორუმის არ არსებობის გამო სხდომის ჩაშლას, რისთვისაც მადლობას ვუხდით კომისიის ყველა წევრს.

მადლობას ვუხდის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს და საკრებულოს წევრებს გუნდური და აქტიური მუშაობისათვის, მადლობა საკრებულოს აპარატს ხელშეწყობისათვის და კომისიის გამართულად მუშაობისთვის მხარდაჭერისათვის.

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო
საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

ოთარ ლურსმანაშვილი